



ტესტურ დავალებათა ნიმუშები პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მსურველთათვის

შემოხაზეთ სწორი პასუხი.

აპლიკანტი უცხო ენის ნაწილიდან ირჩევს ერთ-ერთს: ინგლისური/რუსული

ინგლისური

1. I always do my homework _____ the evening.

A. at

B. on

C. in

D. of

2. What beautiful flowers! Are they _____?

A. my

B. yours

C. her

D. its

3. Look! Grandpa _____ the news on TV.

A. was watching

B. is watching

C. are watching

D. were watching

4. Mary _____ to work yesterday. She was sick.

- A. didn't go
- B. doesn't go
- C. isn't going
- D. won't go

5. My friends and I love swimming. We often swim _____ the swimming pool after classes.

- A. on
- B. into
- C. in
- D. out

6. Excuse me! How can I _____ to the museum from here?

- A. pay
- B. spend
- C. find
- D. get

7. My aunt works as a _____ at the hospital.

- A. pilot
- B. designer
- C. nurse
- D. teacher

8. Can you help me to find my bag?

- A. It's very kind of you
- B. No, thank you

C. Yes, please

D. Yes, sure

9. Boney is the name of an African elephant. It is an actor in the circus. Boney lives in the circus. Boney can ride a bike, and dance but it cannot play any instruments. Before the show it has fruit, bread, and water for dinner. Boney loves apples but it doesn't like bananas. It loves chocolates too.

Boney loves

A. apples

B. bread

C. bananas

D. cakes

10. Whales are the biggest animals in the sea. The largest whales are more than 30 meters long. Whales live in water but they are not fish. They have warm blood and they need air to breathe. They can stay under water for about an hour without breathing.

Whales

A. live in warm water

B. need air to breathe

C. have cold blood

D. are big fish

რუსული

1. Я очень люблю произведения Антона Павловича Чехова, замечательного русского _____ .

- A. писателя
- B. писатель
- C. писателю
- D. писателем

2. У моего друга Димы хорошее чувство юмора. Он всегда придумывает _____ .

- A. смешным историям
- C. смешные истории
- B. о смешных историях
- D. смешных историй

3. Я купила очень симпатичный новогодний сувенир, который завтра _____ своей подруге.

- A. дарила
- B. подарю
- C. подарила
- D. дарить

4. Тележурналист долго слушал женщину, которая рассказывала историю _____ семьи.

- A. к своей
- B. свою
- C. своя
- D. своей

5. Редакция журнала, в которой я начал работать, находится в современном здании _____ .

- A. на седьмом этаже
- B. на седьмой этаж
- C. к седьмому этажу
- D. с седьмого этажа

6. Мой старший брат прекрасно говорит по-русски, а по-английски, к сожалению, _____ .

- A. прохладно
- B. плохо
- C. полезно
- D. грустно

7. Я покупаю книги на Международной книжной выставке, которая _____ каждый год в Москве.

- A. проходит
- B. заходит
- C. переходит
- D. выходит

8. Как вы себя чувствуете?

- A. Пожалуйста
- B. Очень приятно
- C. Неважно
- D. Весело

9. Древний город Великий Устюг - одно из красивейших мест русского Севера. С 1909 года он стал родиной Деда Мороза. С наступлением холодов сюда приезжают не только россияне, но и

иностранцы, чтобы насладиться красотой русской зимы и наяву побывать в новогодней сказке.
Великий Устюг ...

- A. самый красивый город
- B. расположен на севере России
- C. современный город
- D. привлекает лишь россиян

10. Женя давно дружит с Антоном. Учатся они на одном факультете. Антон увлекается теннисом, Женя любит следить за игрой. Обоим нравится джаз, Антон даже пишет музыкальные композиции. Жене Антон нравится, потому что он – надёжный друг, никогда не предаст, всегда придёт на помощь.

Женя дружит с Антоном потому, что ...

- A. учится с ним на одном факультете
- B. играет с ним в теннис
- C. они вместе пишут музыку
- D. Антон преданный товарищ

მათემატიკური ნაწილი

ამოცანა 1

რამდენი ნატურალური გამყოფი აქვს 12-ს?

- ა) 3
- ბ) 4
- გ) 5
- დ) 6

ამოცანა 2

რას უდრის 19-ის 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- ა) 4
- ბ) 6
- გ) 3
- დ) 5

ამოცანა 3

1,2 -ის 140% ტოლია

- ა) 1,2
- ბ) 1,44
- გ) 1,68
- დ) 16,8

ამოცანა 4

რა მანძილი გაიარა ავტომობილმა 4 საათის განმავლობაში, თუ მისი სიჩქარე იყო 65კმ/სთ?

- ა) 130კმ
- ბ) 240კმ

გ) 260კმ

დ) 300კმ

ამოცანა 5

რას უდრის x , თუ $\frac{x-1}{3} = \frac{3}{2}$?

ა) $\frac{9}{2}$

ბ) $\frac{3}{2}$

გ) $\frac{11}{2}$

დ) 0,1

ამოცანა 6

$(a - 2)^2 + 4a =$

ა) $a^2 + 4$

ბ) $a^2 - 4$

გ) $a^2 - 4a + 4$

დ) $a^2 - 2a + 4$

ამოცანა 7

ამოზნეკილი ოთხკუთხედის სამი შიგა კუთხის სიდიდეა 40° , 80° და 140° . რას უდრის ოთხკუთხედის მეოთხე შიგა კუთხის სიდიდე?

ა) 80°

ბ) 100°

გ) 90°

დ) 110°

ამოცანა 8

იპოვეთ $x+y$, თუ $(x; y)$ წყვილი წარმოადგენს


$$\begin{cases} x + 3y = 5 \\ x - y = 17 \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამონახსნს.

- ა) -4 ბ) 6 გ) 8 დ) 11

ამოცანა 9


ქალაქის მოსახლეობა დაყოფილია ოთხ ასაკობრივ ჯგუფად. დიაგრამაზე ნაჩვენებია სამი ასაკობრივი ჯგუფის პროცენტული რაოდენობები. რამდენ პროცენტს შეადგენს მეოთხე ასაკობრივი ჯგუფი?



- ა) 9% ბ) 12% გ) 11% დ) 10%

ამოცანა 10

რომელ სავარაუდო პასუხში წარმოდგენილი ნაწილების შეერთებით აიწყობა მარცხნივ მოცემული ფიგურა?



- ა) a ბ) b გ) c დ) d

ვერბალური ნაწილი

1. გლობალური : ლოკალური
 - ა) პერმანენტული : სისტემატური
 - ბ) სტრუქტურული : დეტალური
 - გ) ეკოლოგიური : კოსმოსური
 - დ) სპონტანური : დაგეგმილი
2. ქალაქი : დაქუცმაცება
 - ა) ლითონი : გადნობა
 - ბ) შეშა : გაპობა
 - გ) ბრინჯი : დაბნევა
 - დ) მინა : დამსხვრევა
3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის სინონიმია (მნიშვნელობით მსგავსია) სიტყვა „მეიფე“?
 - ა) მსხვრევადი
 - ბ) რბილი
 - გ) გაყინული
 - დ) დანაწევრებული
4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ანტონიმია (საპირისპირო მნიშვნელობის მქონეა) სიტყვა „გამოუცდელი“?
 - ა) გულუბრყვილო
 - ბ) გაუბედავი
 - გ) კვალიფიციური
 - დ) ახალბედა
5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი განმარტება შეესაბამება სიტყვას „სიტყვაძვირი“?
 - ა) ის, ვინც დინჯად და ნელა ლაპარაკობს
 - ბ) ის, ვინც ცოტას, იშვიათად ლაპარაკობს
 - გ) ის, ვინც სუსტი ხმით, ხმადაბლა ლაპარაკობს
 - დ) ის, ვინც საჯაროდ არასოდეს ლაპარაკობს
6. სიბრძნე ესაა უნარი, _____ ამა თუ იმ _____ შედეგები, ესაა მზაობა, _____ სარგებელი _____ სანაცვლოდ.
 - ა) გამოავლინო / ქმედების დაფარული / არ დათმო პოტენციური / მოსალოდნელი კეთილდღეობის

- ბ) წინასწარ განჭვრიტო / ქმედებით მიღწეული / არ დათმო მოსალოდნელი / რეალური, ამწუთიერი კეთილდღეობის
- გ) იწინასწარმეტყველო / ქმედების შორეული / დათმო ამწუთიერი / მოსალოდნელი სასიკეთო საქმეების
- დ) განჭვრიტო / ქმედების შორეული / დათმო ამწუთიერი / არარეალური კეთილშობილური დაპირებების

7. ჩვენ არა მარტო _____, არამედ, პირიქით, უნდა _____ მათი _____.

- ა) არ უნდა გვეშინოდეს შეცდომების დაშვების / ვისწავლოთ / გამოყენება ჩვენ სასარგებლოდ
- ბ) უნდა გვეშინოდეს შეცდომების დაშვების / შევამციროთ / განმეორებით დაშვების შესაძლებლობა
- გ) არ უნდა ვსწავლობდეთ სხვების შეცდომებზე / შევიმუშაოთ / გამოსწორების ჩვევა
- დ) უნდა ვსწავლობდეთ საკუთარ შეცდომებზე / შევამციროთ / დაშვების სიხშირე

8. მოცემულია:

• ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ დებულებას აქვს იგივე შინაარსი, რაც მოცემულს?

- ა) არსებობს ისეთი ოქრო, რომელიც არ ბრწყინავს.
- ბ) რაც ოქრო არ არის, არ ბრწყინავს.
- გ) ზოგიერთი რამ, რაც ბრწყინავს, არ არის ოქრო.
- დ) რაც ბრწყინავს, არ არის ოქრო.

9. ქუჩის ორივე მხარეს, ერთმანეთის პირდაპირ, სამ-სამი შენობაა განლაგებული, რომლებშიც სხვადასხვა დაწესებულებაა განთავსებული. მოცემულია:

- ბანკის შენობა მხოლოდ ერთ შენობას ესაზღვრება გვერდიდან.
- თეატრს მარჯვნიდანა და მარცხნიდანა ესაზღვრება შენობა.
- უნივერსიტეტის და ბანკის შენობები გვერდიგვერდ დგას.
- სკოლა და მუზეუმი ქუჩის ერთ მხარესაა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შეუძლებელი, თუ ეს პირობები სრულდება?

- ა) ბანკის პირდაპირ მუზეუმია.
- ბ) ბანკი სკოლის პირდაპირაა.
- გ) თეატრს მარცხნიდან ესაზღვრება მუზეუმი.
- დ) ბანკი და სკოლა ქუჩის ერთ მხარესაა.

ტექსტის გააზრება

10. შუა საუკუნეების ქართული დარბაზის შემადგენლობაში მაღალი კლასის წარმომადგენლები - ფეოდალები შედიოდნენ. თუ როგორ წარიმართებოდა დარბაზობა, ამას მეფე განსაზღვრავდა და საბჭოსაც თავადვე ხელმძღვანელობდა. დარბაზის წევრთა ადგილების განლაგება მკაცრად იყო განსაზღვრული, თუმცა, ეპოქების მიხედვით იცვლებოდა კიდეც. ბაგრატ IV-ის დროს დარბაზის წევრები მეფის პირდაპირ სხდებოდნენ, ხოლო თამარ მეფის კარზე მოხელეები მეფის ორივე მხრიდან დაუსვამთ; მათი სკამებიც განსხვავებული იყო: ყველაზე საპატიო პირებს - ვეზირებსა და ერისთავთერისთავებს ჰქონდათ ოქროჭედილი სელები, რომლებზეც გადაფენილი იყო ნატი (ხალიჩა) და ბალიში; ნაკლებად საპატიო წევრებს ეფინათ მხოლოდ ნატი, უბალიშოდ; ხოლო უფრო დაბალი რანგის პირების სკამები უნატო და უბალიშო იყო. დარბაზობის მონაწილეთა ნაწილი ფეხზე იდგა. ისინი დარბაზის წევრები კი არ იყვნენ, არამედ წესრიგის დამცველი ან საქმის წარმოებისთვის აუცილებელი მოხელეები იყვნენ. დარბაზის ყოველი წევრის დაწინაურებას მისთვის კუთვნილი დასაჯდომი ადგილის შეცვლაც მოსდევდა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მეფე იღებდა, თავად სათათბირო დარბაზის არსებობა უდავოდ გარკვეული დემოკრატიულობის ნიშანი იყო, რადგან იგი საკითხების განხილვაში მრავალთა მონაწილეობას ეფუძნებოდა.

ტექსტიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეფასება გადმოსცემს უფრო ზუსტად და სრულად ავტორის მთავარ მიზანს?

- ა) წარმოაჩინოს, რომ დარბაზის ყოველი წევრის დაწინაურებას მისთვის კუთვნილი დასაჯდომი ადგილის შეცვლაც მოსდევდა.
- ბ) გაგვაცნოს განსხვავება დარბაზის ყველაზე საპატიო პირებისა და ნაკლებად საპატიო წევრების სკამებს შორის.
- გ) განმარტოს, რომ ქართული დარბაზის შემადგენლობაში მხოლოდ მაღალი კლასის წარმომადგენლები - ფეოდალები შედიოდნენ.
- დ) გამოკვეთოს შუა საუკუნეების საქართველოში მეფეთა კარზე არსებული დარბაზის თავისებურებანი.

სწორი პასუხები - ინგლისური

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
C	B	B	A	C	D	C	D	A	B

სწორი პასუხები-რუსული

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
A	C	B	D	A	B	A	C	B	D

სწორი პასუხები - მათემატიკური ნაწილი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დ	დ	ბ	ბ	ბ	ა	ბ	დ	ბ	ბ

სწორი პასუხები-ვერბალური ნაწილი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დ	დ	ა	ბ	ბ	ბ	ა	ბ	დ	დ